№ 277

პარასკევი, 22 დეკემბერი 1895

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 277

პარასკევი, 22 დეკემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

## ტფილისი, 22 დეკემბერი.

—

დღეს საფრანგეთში სწორედ ისეთი ამბავი ხდება, რომლის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. ამ ცოტა ხნის წინად ბ. პერიე, ეს წარმომადგენელი საფრანგეთის კონსერვატორთა პარტიისა და შეიძლება უკანასკნელი დიდებული ნაშთიც მონარხიზმის პრინციპებით გაჟღენთილის რესპუბლიკელის პარტიისა გადააყენა ადგილიდამ პარტიამ, რომელის გარეგანი სიმცირე და უძლურება იმდენზედ ყველასათვის ცხადი იყო, რომ არც-კი ვისმე შეეძლო წარმოედგინა თუ ასეთს საქმეს მოახდენდა. გავიდა რამოდენიმე ხანი და ფორის ამორჩევისა და რიბოს უფერულის სამინისტროს შემდეგ, ბურჟუამ შეადგინა კაბინეტი. არ შევსცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბურჟუამ დიდი პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა, რომ პირველად უარი უთხრა პრეზიდენტს, ვერ ვიკისრებ კაბინეტის შედგენასო. ამ მოქმედებამ დაანახვა ქვეყანას, რომ მას ვერ დააკმაყოფილებს არა თუ ისეთი ურცხვი და რესპუბლიკის ყოველი პრინციპების უკუმგდებელი, როგორც დიუპუის სამინისტრო იყო, არამედ ისეთიც რომელიც ეცდება არც წვადი დასწვას და არც შამფური და რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი რიბოს სამინისტრო იყო. მართლაც რიბოს სამინისტრო დაეცა და მაშინ-კი ბურჟუამ შეადგინა კაბინეტი, პრეზიდენტის თხოვნით და წარუდგინა ხალხის წარმომადგენელთ პროგრამმა, რომელმაც გაახარა ყოველივე პროგრესსის თაყვანისმცემელი, თუმცა ყველას-კი ცოტა არ იყოს ეშინოდა, რომ ასეთი სამინისტრო დიდ ხანს ვერ გასძლებდა რადგან პარლამენტის უმეტესობის თანაგრძნობას ვერ მოიპოვებდა, ეგონათ. ზოგიერთმა გაზეთმა სხვა-და-სხვა მისტიკური მოსაზრებით ერთი თვის ვადა დაუნიშნეს, მაგრამ ღვთის მადლით დღეს ორი თვე გავიდა ბურჟუას სამინისტრო ისევ მშვიდობით და კარგად იმყოფება და რომ მის არსებობას დღე არ ელევა ამის დამამტკიცებელი სხვათა შორის ისიც არის, რომ კონსერვატიული ორგანო „ტანი“ ასეთს აღსარებას აცხადებს საქვეყნოდ „დღემდის ჩვენ არა გვყოლია სამინისტრო პარტია, რომელიც ასე ბრძნულად მოქცეულიყოს და ასეთი ერთგული [illegible] ყოს სამინისტროსი. თავის დღეში რესპუბლიკელთა პარტიას არ აღმოუჩენია ასეთი შემწეობა მისგან რჩეულის სამინისტროსათვის და არ გამოუჩენია ასეთი თავ-განწირულება და მოთმინება, როგორიც უკიდურეს მემარცხენეთა დასმა გამოიჩინა. ეხლა როგორც სჩანს, ჩვენ შემცდარი ვყოფილვართ როცა ვამბობდით, რომ რადიკალთა პარტიას არა აქვს ის თვისებები, რომელიც საჭიროა პოლიტიკურის პარტიისათვის, ჩვენ უფრო გვაკლდა თურმე ამგვარი თვისებები“. ეს დიდი საბუთია ახალის სამინისტროს შინაგანის ძლიერებისა და ნათლად მაჩვენებელი იმისა, რომ კიდევაც დაეცეს ეს სამინისტრო, მაინც იმ პრინციპებს, რომელიც მას თავისს დროშაზედ უწერია, ღრმად გადგმული ჰქონია ფესვები საზოგადოებაში. ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ მისი სულიერი ძლიერება დიდი ყოფილა, თუ მისი მტრებიც-კი ქედს იხრიან მისს წინაშე და მათ ღირსებას საქვეყნოდ აღიარებენ.

რაკი რადიკალთა სამინისტრო ასეთს ძალას იჩენს შინაგანს პოლიტიკაში, ეჭვი არ არის, იგი გარეშე პოლიტიკაშიაც სხვა გზას დაადგება და ის სანტიმენტალურს, მაგრამ უსარგებლოსა, რესპუბლიკისათვის ჩირქის მომცხებელს და უსაფუძვლო პოლიტიკას მიატოვებს, რომლის წინააღმდეგნი ყოველთვის იყვნენ რადიკალნი.

კიტა.

## ახალი ამბავი

—

⁂ შემდეგი ქართული წარმოდგენა იქნება ოთხშაბათს, 27 დეკემბერს. ეს წარმოდგენა დანიშნულია ნიჭიერისა და დამსახურებულის არტისტის, კოტე ყიფიანის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქმნება ფრანსუა კოპპეს პიესა „იაკობელები“, რომელშიაც ბ-ნი ყიფიანი საუცხოვოდ ასრულებს მოხუცის როლს.

⁂ დღეს ნიკიტინის ცირკში გაიმართება წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გარდადებულ იქნება ახლად დასაარსებელ ბავშვთა საავადმყოფოსთვის.

⁂ 24 დეკემბრისთვის დანიშნული კრება სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების დაარსებისათვის არ მოხდება, რადგანაც წესდება არ არის დამტკიცებული. ამ საგნის განსახილველად მოხდება 24 დეკემბერს მხოლოდ კერძო მოლაპარაკება იქვე „სამეურნეო საზოგადოების“ დარბაზში.

⁂ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ ბ-ნი ზავაროვი განაგრძობს კითხვას რეფერატისას ერევნის გუბერნიის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

⁂ მლეთისა და კობს შუა ზვავი ჩამოწვა; დიდი თოვლი მოდის. რუსეთის ფოსტა უგზოობამ დააკავა საქართველოს სამხედრო გზაზე.

⁂ დ-რი პავლოვსკი დამტკიცებულ იქმნა მიხეილის საავადმყოფოს უფროს ექიმად.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

1, მღვ. დავით კავკასიძემ 7 ნაჭერი ძველი ვერცხლის ფული და 5 ნაჭერი ძველი სპილენძის ფული.

2, ივანე ივანაშვილმა 1 ნაჭერი ძველი სპილენძის ფული.

3, ნიკ. ორჯონიკიძემ ერთი ძველი სიგელი.

და 4, რაფ. ნიკ. ყაზბეგმა 5 ძველი სიგელი.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

⁂ სამის დღის წინად ჩვენს გა-

---

# ფელეტონი

### კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება *).

I

არის ჩვენში კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება თუ არა?

სავნოა თუ სასარგებლო ჩვენთვის კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება?

ამგვარი კითხვანი დღეს ჩვენში ძალა-უნებურად აღიძრვიან და თხოულობენ მათს თეორიულად მაინც არის ახსნასა.

ჩვენზედ კიდევ უფრო ძლიერ დაწინაურებულს ქვეყნებში არის მოდებული კითხვა: სავნონი არიან თუ სასარგებლონი კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება.

ამგვარს კითხვებს მოსდევს შემდეგი კითხვანი:

იყო როდისმე ქვეყნად ისეთი ხალხი, რომელსაც მიეღოს დღევანდელი კაცის სახე და არა ყოფილიყოს ამ ხალხში კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება?

ექნებოდა კაცს დღევანდელი კულტურა, ცივილიზაცია, თვით დღევანდელი სანახაობა თუ არა ყოფილიყვნენ კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება?..

საოცარი და შეუხამებელი სახე და ხასიათი მისცეს თვით უკეთესთ ეკონომისტთა სიტყვებს: კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება. კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება გამოჰსახეს ისე, როგორც ნაყოფი ფაბრიკებისა, ქარხნებისა, მრეწველობისა. ამასთან მისცეს ისეთი სახე და მნიშვნელობა, თითქო ისინი იყვნენ ნაყოფნი ახალი ერასი, იყვნენ ახალი საქმენი. კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება ეკუთვნოდეს მარტო თავისუფალთა ხელთაგან შემდგარს ნამუშავარს, მოღვაწეობას.

კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება იყვნენ ყოველს დროს და ყოველს ხალხში, რაკი კაცს უწყვია ხვალისათვის ზრუნვა, გამოზოგვა, შენახვა დასაკუთრება. რაკი კაცმა შეიძინა თვით უბრალო იარაღი: ტალის ცული, შურდული, თითისტარი, ბარული, ქვის მხოჰი და სხვა ამგვარები, შესდგა კაპიტალი, იწყო კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება.

ვისაც მცირეც არის შეუსწავლია ისტორია კაცობრიობის კულტურისა, კარგად იცის, რომ ქარხნები, ფაბრიკები, მრეწველობა და სხვა ამგვარები კაცობრიობაში უხსოვარი დროიდგან ყოფილან. რატომ ეხლა, და არა ძველად შესდგა ამ ფაბრიკებისა, ქარხნებისა და მრეწველობისაგან კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება?!.

თვით ეს ფაბრიკები, ქარხნები, მრეწველობა რის ნაყოფნი იყვნენ, თუ არ კაპიტალიზმისა, კაპიტალური წარმოებისა?

ნუ-თუ იმავე ძველის ძველად ნავოსნობისა, სახელოსნოებისა, შენობებისა და ათასი სხვა ამგვარებისათვის არ იყო საჭირო კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება?

რა იყვნენ ძველად რომში ესრედ წოდებულნი მხედარნი თუ არ მომქმედნი კაპიტალიზმით?

და, თუ ძველადვე ვერ მიიღო ის ძალა ფაბრიკისა და ქარხნების კაპიტალიზმმა და კაპიტალურმა წარმოებამ, რაც დღეს,—ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მაშინ არა ყოფილიყვნენ ესენი. ძველად ამათი ძალა არა სჩანდა ისრე, როგორც დღეს, რადგან არსებობდა ფაბრიკებსა და ქარხნებზედ დიდი ძალა,—ძალა მონობის მეუფებისა, პატრონობა დიდრონი მამულებისა და ქვეყნებისა. ამასთან მაშინდელს დროს არც ასე უწყობდა ხელს ფაბრიკებსა და ქარხნებს მაშინები, ტეხნიკა, როგორც დღეს. მაშინდელს დროს მონობა, დიდი მამულებისა და ქვეყნების ხელში ჰერა თავისი სიდიდით და ძალით ჰფარავდნენ ფაბრიკებისა, ქარხნებისა და მრეწველობის ძალასა. დღეს მონობა ყველგან მოსპობილია, საფაბრიკო და საქარხნო ტეხნიკა და მეცნიერება შევიდნენ სანცვიფრო წარმატებასა და სისრულეში, კაპიტალმა იწყო მოყრა თავისა მექარხნეთა, მეფაბრიკეთა, და მრეწველთა ხელში. დღეს ესენი შეიქნენ სხვა ყველაფერზედ ძლიერნი და ახლა უფრო გამოჩნდა ამათი ძალა კაპიტალის მოკრებასა, კაპიტალიზმისა და კაპიტალურ წარმოების გაძლიერებაში. ძველსა და ახალს საფაბრიკო და საქარხნო კაპიტალიზმსა და კაპიტალურს წარმოებაში გარჩევა მხოლოდ ის არის, რომ დღეს ესენი უფრო ძლიერნი არიან, ვიდრემ იყვნენ ძველად.

მაშასადამე, კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოებანი სრულიად არ არიან ახალი საქმენი, არც არიან ნაყოფნი ახალი ერასი. ისინი იყვნენ მას აქეთ, რაც კაცობრიობას ახსოვს თავი და იქნებიან, მანამ არ ჩავა კაცობრიობა საფლავს.

II

კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას ბევრნი უყურებენ, როგორც სავნებელს კაცობრობისათვის საქმეთ.

როგორც სხვაგანაც მითქვამს, რუსისა არ იყვეს, აქაც რაღაც Недоразумѣніе არის.

რომ არა ყოფილიყო კაპიტალი და კაპიტალური წარმოება, კაცი ვეღარაოდეს ვერ გამოვიდოდა პირუტყვული მდგომარეობიდამ, ყოველთვის მონა იქნებოდა ბრმა ბუნებისა, მსხვერპლი თავიზედ ძლიერი პირუტყვებისა. მე ზემოთ ვთქვი, რომ კაპიტალიზმი იწყობა მას აქეთ, რაც კაცმა შეიძინა თავისი გასაძლიერებელი, ძალის მომცემი იარაღი: ცული, შურდული, თითისტარი, ნიჩაბი, და სხვა ამგვარები. რასაკვირველია იმგვარს მკითხველს და კრიტიკოსს, როგორც „მოამბის“ კრიტიკოსი კელენჯელიძე ბრძანდება, რომელსაც ნეხვი ვარდათ მიუღია, ნეხვისა და ვარდის აღწერა ერთმანეთში ვერ გაურჩევია, და უკვირს, რომ ნეხვს ვარდს სუნი რატომ არ უდისო,—გაუკვირდებათ რასაც ეხლა მე მოგახსენებ. მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ კაცის კაპიტალიზმის ძალა იწყობა მას აქეთ, რაც კაცმა ანება ოთხზედ სიარულს თავი, წინა ფეხები გაანთავისუფლა ფეხებად ხმარებიდამ და იწყო მათი ხელებად ხმარება. მას აქეთ ის ხდება კაპიტალისტი ყოველთა სულდგმულთა წინაშე, აქედამ ეწყობა სათავე კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას.

წინა ფეხებისა ხელებად გადაქცევას მოჰყვა შექმნა ყოველრიგი იმ იარაღისა, რითაც დღეს კაცობრიობას თავი მოსწონს და რითაც ებრძვის დღეს ბუნების ძლიერებას, ბუნების დაფარულს თვისებას, ბუნების საიდუმლოებას. ხელით ვარჯიშს მოსდევდა ვარჯიში გონისა, გონით ვარჯიშს მოსდევდა გონების წარმატება, გონებით წარმატებას მოსდევდა გაუმჯობესება ხელებისა, კაცის აგებულებისა. და ყველა ამას მოსდევდა უცნაური წარმატება კაცობრიობისა და უსაზღვრო დაშორება კაცისა პირუტყვთაგან, რომელთაც, არამც-თუ თავის ნათესავად აღარა სცნობდა კაცი და ბოლოს აღიარა, რომ კაცი არის ნაწილი ღვთაებისა და რაც-კი გაჩენილა ღვთისაგან მის მოსახმარად, მის სარჩენად, მის შთასანთქავად.

რაც უფრო გონს მოვიდა კაცობრობა, რაც უფრო გონით წინ წავიდნენ კაცნი, იმდენი იმატა კაპიტალმა, კაპიტალიზმმა, კაპიტალურმა წარმოებამ. ამათ მისდევდა კაცისა უფრო და უფრო წინ წასვლა გონით, გაუმჯობესება აგებულებით...

უკეთესს მაგალითს იმისას, რაც ძალა აქვს კაპიტალიზმს და კაპიტალურს წარმოებას გვიჩვენებს დღეს დაწინაურებული ნაწილი კაცობრობისა.

გადავავლოთ მაგალითისათვის თვალი ინგლისს, უძლიერესს ქვეყანას

*) რედაქციას აქვს აზრათ კიდევ დაუბრუნდეს ამ საკითხსა.

რედ.

...ში მოყვანილი გვქონდა ამბავი, ...რომ სახაზინო რკინის გზათა გა...ობა ამიერ-კავკასიის დაზიანებულ ...ნის გზაზედ მუშაობის რევიზიის ...იშნას აპირებსო. ინჟენერი ბ. ...ჩაკოვი დაჰკითხებია გამგეობას, ...დენად მართალია ხმები რევიზიის ...ახებ და პასუხი მოსვლია, რომ გა...გეობას აზრადაც არ ჰქონია რე...იის დანიშვნა.

*** სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელს სხდომაზე საზოგადოების წევრმა ა. ბ. ევანგულოვმა ...დ აღნიშნა ის ფაქტები და ...ვანი ბორჩალოს მაზრისა, ყარსის ...ქისა და ერევნის გუბერნიის ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ვრცლად იყო აღწერილი ... ალ. არღუთინსკის, ბბ. გოჩ...ოვის და დანილოვიჩის რეფერატებში. კრებამ დაადგინა სთხოვოს ...ის გზის მკეთებელს, რომ ეს ...ტერესო რეფერატები დაბეჭდილ...ან. ბოლოს კრებამ ერთხმათ აი...ა ინჟენერი გორჩაკოვი „საზოგადოების“ წევრად.

*** ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, მძიმე ავადმყოფ ბავშთათვის საავადმყოფო 31 დეკემბერს გაიხსნება. შენობა უკვე დაქირავებულია და მზადდება წყნეთის ქუჩაზე.

*** სასოფლო მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროის ...ს-მუშაობის დეპარტამენტს სურს ...ს მხარეში გაავრცელოს საქონ... საკვების ბალახების თესვა, რისთვისაც წელს უნდათ გამოიწერონ ...-ძალი იონჯის თესლი და დაუ... [illegible] ...დ. მაგრამ რომ გაიგონ, თუ რამდენი ფუთის დაკვეთა იქნება საჭირო, დეპარტამენტმა წინ-და-წინ უნდა შეჰკრიბოს ცნობები, თუ რამდენი ფუთი იქნება საჭირო ამ ჩვენი მხარისათვის. ამ ცნობების შეკრება დეპარტამენტისაგან დავალებული აქვს იმერეთში და გურია-სამეგრელოში აგრონომს თავ. ერმილე ნაკაშიძეს. ეხლა აგრონომი ნაკაშიძე სთხოვს ჩვენს მეურნეებს, ვისაც ჰსურს იონჯის დათესვა, აცნობოს მას: ვინ რამდენ ქცევის დათესვას აპირებს, სად, რომელ სოფელში და ადგილის მდებარეობა: ვაკეა, ჰალა (მერე), თუ ზეგანია.

ადრესი: Въ Тифлис. Помощнику эксперта Кавказс. Филоксерн. Комитета Кн. Ер. Накашидзе.

**შეცდომის გასწორება:**

გუშინდელს ნომერში მესამე გვერდზე ბოლო სიტყვები ბ-ნის გუბერნიის მარშლისა შეცდომით ასეა დაბეჭდილი: „რაც შეეხება ჩვენთა ზრალმდებთა იცით, ბატონებო, რა ა ნ ო ქ მ ე დ ე ბ თ ჩვენს წინაალმდეგ? იცით, რომ“... „ანოქმედებთ“. მაგიერ უნდა „ა მ ო ქ მ ე დ ე ბ თ“ და „ი ც ი თ, რ ო მ“ მაგიერ უნდა: „ის, რომ“...

**კორესპონდენცია.**

**ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ.** ამ თვეში თიანეთის საზოგადო წიგნთ-საცავის წევრთა წლიური კრება იყო. კრებამ მოისმინა წლიური ანგარიში და ერთხმივ დაამტკიცა იგი. წიგნთ-საცავს ამ ერთის წლის განმავლობაში შეუძენია 250 ცალამდე ქართული და ასამდე რუსული წიგნა. ამ წელს ჰქონია გამოწერილი ჟურნალი: „მოამბე“, ჯეჯილი“ და გაზეთები: „ივერია“ და „კვალი“. წლის განმავლობაში წიგნთ-საცავიდამ გაუტანიათ წასაკითხად 1200-ჯერ წიგნები. მომავალის წლისათვის კრებამ გარდასწყვიტა გამოიწეროს ზემოხსენებული ჟურნალ-გაზეთები: „მეურნე“, ი. როსტომაშვილის გამოცემანი და ერთი რომელიმე რუსული ჟურნალი; კრებამ დაავალა გამგეობას ყოველი ახალი ქართული წიგნი უეჭველად მალევე შეიძინოს ხოლმე.

და ბოლოს კრებამ მადლობა გადაუხადა ბ. ა. ს-მე გამრეკელს, რომელმაც კრების დღეს წიგნთ-საცავს შესწირა 51 ცალი სხვა-და-სხვა ქართული და რუსული წიგნი.

15 დეკემბერს სცენის მოყვარეთ ადგილობრივის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს, წარმოადგინეს „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ კომედია სამს მოქმედებად, ავ. ცაგარლისა.

წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. მომეტებულად კარგი იყო ქ. ზ. ბოდაევისა (კატინას როლში). ეს ქალი პირველად გამოვიდა სცენაზე და გამოტეხით უნდა ვსთქვათ, ძლიერ სინადისიერად შეასრულა ნატვართი როლი. ქ. ბოდაევისას ნათლად ეტყობა, რომ სცენის ნიჭი აქვს და დიდს სამსახურსაც გაუწევს ჩვენს სცენის მოყვარეთა მცირე გუნდს.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ი. კ—ლი.

2 დეკემბერი.

# უცხოეთი

**ᲐᲕᲡᲢᲠ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ.** ავსტრ-უნგრეთის იმპერატორის უფროსი შვილი, ჰერცგერცოგი ფრანც ფერდინანდი, ამ ჟამად ძლიერ ავადმყოფია და იმყოფება ეგვიპტეს, კაიროს ქალაქში. ბოლოს დროს კაირიდამ ცუდი ამბავი მოდის—ფერდინანდის მორჩენის იმედი აღარ არისო. ავსტრიის მრავალ ერთ ძალიან აღელვებს ეს გარემოება და ყველა იმის სჯაშია, ვინ იქნება ტახტის მემკვიდრე ავსტრ-უნგრეთშიო.

—

**ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ.** პარლამენტის ერთს უკანასკნელს კრებაზე დეპუტატმა ტაბაკოვმა წარადგინა კითხვა, რომლითაც მოსთხოვა მთავრობას გამოაშკარაონ მთლად სასამართლოს მასალა, რომელიც-კი ამ ჟამად მას ხელთა აქვს სტამბულოვის მკვლელობის შესახებ. დრო არის სასჯულო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა სტოილოვმა გამოუცხადოს კრებას იპოვნეს თუ არა დამნაშავენი და მკვლელობაში მონაწილეობის მიმღებნი, გამოარკვიეს თუ არა საქმის გარემოებანი და გარდასცეს თუ არა სასამართლოს ბრალდების ოქმი. თუ რომ დღემდის ეს არ მომხდარა, მაშინ მთავრობამ უნდა ახსნას მიზეზები, რა აბრკოლებდა მთავრობას თავისს მოვალეობის აღსრულების დროს. ტაბაკოვი ამტკიცებს, რომ გამომძიებელი იკონომოვი, რომელსაც საქმე ჰქონდა მინდობილი, მრავალ საბუთთა ძალით იმ დასკვნას დაადგა, რომ პოლიციის ბოქაული იურუკოვი და პოლიცმეისტერი მერქოვი სტამბულოვის მკვლელობაში ჩარეულნი არიანო. იკონომოვმა უკვე ბრძანება გასცა შეეპყრათ იგინი, როდესაც სტოილოვმა წინააღმდეგობა განაცხადა, არ შეიძლება მათი მოწვევა გამოძიებისათვის, ვიდრე სამინისტროს ბრალდების ოქმი არ წარედგინებაო. ზედ დატანებით იკონომოვს ჩამოართვეს ყველა ქაღალდები სტამბულოვის საქმის შესახებ და რამდენსამე სხვა გამომძიებელს გარდასცეს, ხოლო თვით იკონომოვი სხვაგან გადაიყვანეს. ტაბაკოვი დაეკითხა სტოილოვს, როგორ ჰგონებთ, თქვენი ქცევა განა არა ჰბადებს ეჭვს, რომ სტამბულოვის მკვლელებთან მთავრობასაც მონაწილეობა უნდა ჰქონოდესო.

**ᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲣ ᲓᲘᲓᲡ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲮᲓᲐᲗ.**

ამის შესახებ „ჟურნალ დე დება“-ში კარგა მოზრდილი წერილია დაბეჭდილი, რომლის შინაარსიც ზედმიწევნით შემდეგია: ომი უთუოდ ზღვაზე მოუხდებათ და პირველ ხანად იგი ამერიკელებისათვის არაფერი სასარგებლო იქნება. ურთიერთშორის განხეთქილობის გამო გამოწვეულ ომის შემდეგ ამერიკელები დიდად შესცდნენ. იმ განზრახვით, რომ საჭიროების დროს კვლავ შევიძლებთ ასეთისავე ფლოტის შედგენასაო, მათ მთლად შეამცირეს თავისი საზღვაო ძალი. ჯერ კიდევ ამ ხუთმეტის წლის წინად ამერიკელების ფლოტი ანგარიშში ჩასაგდები არც-კი იყო, ხოლო მათი სავაჭრო ფლოტი მარტო ქაღალდებში იყო აღნიშნული. როდესაც შემდგომ ხანგრძლივის ძილისა თვალები გაახილეს, ამერიკელებმა ჰნახეს, რომ ისევ

---

...ტალიზმისა და კაპიტალური წარმოების მხრივ. ვნახოთ: ვნება მოუ...ა ამ ქვეყანას კაპიტალიზმა და ...ტალურმა წარმოებამ, თუ სარგებლობა.

...ნგლისის მამულები დაიყო რამოდენიმე გვარმა რომელნიც შემოვიდნენ მძლევლებათ ამ ქვეყანაში უცხო ტომიდგან. მთელი აქაური ხალხი დარჩა უმამულო. რა უნდა ყოფილიყო ეს ქვეყანა, რომ ჟამთავითარებას ხელი არ შეეწყო და არ გამეფიერებულიყო ამ ქვეყანაში კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება? ხალხს მამული არა ჰქონდა. ხალხი ...კლობდა. მამულის პატრონები იყვნენ შეჩვეულნი მდიდრულს, უქმს და მუქთს ცხოვრებას. მებატონე ...ჯს უმატებდა, ყმას მამული არა ჰქონდა საკმაო თავისა და მებატონეთა შესანახავად. აქ მოელოდა მას სრული მალტუსიანობა,—რომლისაც სწავლა, ცხადია, იყო ნაყოფი ამგვარი გარემოებისა,—ესე იგი ცოლქმრობაზედ ხელის აღება და წამართული გარყვნილება. ან ელოდა გაწყვეტა სიმშილისა, სიტიტვლისა, ჯაფისა და მტარვალობისაგან; ან გადასახლება და სამშობლოსი მთლად დატოვება. ამ გარემოებიდამ იხსნის მას კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება. კაპიტალი აგებს ფაბრიკებს, ქარხნებს, ...ტებს მრეწველობას, აღებმიცემობას, მეგობრობას; აპერინებს ხელთ უცხო და შორეულთა ქვეყნებს, სადაც კაპიტალი და კაპიტალური წარმოება უფრო სუსტი და ნაკლებია. შემოაქვს უცხო ქვეყნებიდამ ხამეული, რომელიც არ მოიპოვება ინგლისში ან თუ მოიპოვება ნაკლებ. ამ ხამეულს აქცევს მზა საქონლად, ჰგზავნის უცხო ქვეყნებში. გადის ხანი და იპერს ხელთ თითქმის ნახევარ ქვეყნის ბაზარს, მთელი ქვეყნის ხამეულს. ამითი თავისს უმიწაწყლოდ დარჩენილს ხალხს უჩენს სამუშაოს, უჩენს ლუკმა პურს, მთელს ინგლისს უჩენს მეტს ლუკმას, მეტს საზრდოს, მეტს სახსარს ცხოვრებისას. ერთი სიტყვით კაპიტალი, კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება უზრუნებს სულს ინგლისის დამშეულს ხალხს. ეს ცოტაა. შეძენილი სარჩო და ხვალისათვის ნაზრუნ-გამონაზოგი აძლევს დროს და უწყობს ხელს აქაურთა მცოდნეთა და მეცნიერთა მოშორდნენ დღიურს ზრუნვას, დღიური სარჩოს შეძენისათვის დროს კარგვას და შეუდგნენ მეცნიერებას, სამეცნიერო საქმეთა კვლევა-ძიებას, ტეხნიკის გაუმჯობესებას, საკაცობრიო ფილოსოფიის აღორძინებას, საზოგადო მოვლინებათა კანონთა გამოკვლევას, და სხვა და სხვა და სხვა. ამ მეცნიერთა კვლევა-ძიებამ უფრო და უფრო დაამონა კაცს ბუნება, გაუძლიერა კაპიტალი, უმატა კაპიტალურს წარმოებას. ამას მოჰყვა უფრო და უფრო გამდიდრება ხალხისა, ხალხისათვის ლუკმა პურის საშოვარი.

ეს სარგებლობა, რაც ინგლისს მოუტანა კაპიტალიზმმა, კაპიტალურმა წარმოებამ.

გადავავლოთ თვალი, რა უყვეს ამ საქმეთა იმ ქვეყნებს, სადაც შევიდა ინგლისის კაპიტალური წარმოება.

რამდენიც დიდი ბაზარი დაიჭირა ინგლისმა დედამიწის ზურგზედ, რამდენიც გაავრცელა ფაბრიკები და ქარხნები, იმდენი უფრო მეტი ხამეული დასჭირდა. უშვერს ქვეყნებს მეტის მიცემა აღარ შეეძლოთ. აქ ინგლისელნი შეუდგნენ სხვა საქმეს. სცდილობენ ამ უშვერს ქვეყნებში შეიტანონ სწავლა, ცოდნა, ასწავლონ მიწის მოვლა, მიწის შემუშავება, გაანაყოფიერონ მათი ქვეყნები, რომ ამით მეტი ხამეული შეიტანონ თავისს ქვეყანაში, რითაც მეტს სამუშაოს უჩენენ თავისს ქვეყნის ხალხს. ამგვარი საქმით არამც თუ ანაყოფიერებენ ამ ქვეყნებს, ჰასწავლიან ხალხს,—უჩენენ სამუშაოს თვით ამ ქვეყნის შვილებს, აძლევენ ლუკმა პურის სახსარს. ამის მაგალითს ვხედავთ ინდოეთში.

მას აქეთ, რაც ინგლისის მთავრობის ხელში გადავიდა ინდოეთი ამ ორმოციოდე წლის წინად სხვა დიდებულთა საქმეთა შორის, რომელიც ინგლისმა ჩაიდინა კაპიტალისა და კაპიტალიზმის ძალით ამ ქვეყანაში, იმოდენა რუები და საგუბრები, ანუ უკეთა ვსთქვათ, მთელი უზარმაზარი ტბები გაიყვანა და გაჰმართა სარწყავადა და სასმელად, რომ მათი სიგრძე და სირგვლე რომ ავიღოთ, ერთ-ნახევრად მეტი მოდის დედამიწის სირგვლეზედ. ამითი ისეთი ადგილები დაანაყოფიერეს ინდოეთში, რომელნიც იმავე საუკუნეთა დაწყებიდამ ეყარნენ უნაყოფოდ, უსარგებლოდ. და, თუ წარმოვიდგენთ ამოდენა სარწყავს წყალს, რაოდენი ადგილის მორწყვა შეუძლიან და ამასთანავე წარმოვიდგენთ ინდოეთის მიწების საოცარს ნაყოფიერებას,—მაშინ დავინახავთ, მარტო ამ მხრივ რაოდენი სარგებლობა უნდა მოეტანა ინდოეთისათვის ამ სარწყავს წყლებზედ დახარჯულს კაპიტალს, მასზედ მოხმარებულს კაპიტალიზმისა და კაპიტალური წარმოების ძალას.

გადადით ინგლისიდამ საფრანგეთში.

ნუ თუ იქ რომ კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება არა ყოფილიყო, ვნახავდით იმ სასწაულებს კაცის გონების ნაყოფისას, რასაც ტეხნიკა და მეცნიერება სჩადის საფრანგეთში კაცობრიობის სასარგებლოდ, საბოლოვოდ?

გადაჰხედეთ ამერიკის შეერთებული შტატების საცვიფრო საქმეთა: ლამის მართლა ბუნების ღმერთად გაჰხდეს ეს ხალხი თავისის კაპიტალიზმით, კაპიტალურის წარმოებით: ზღვა აქციეს ხმელეთად, ხმელეთი ზღვად, ჰაერი სანოვაგედ, სადგურად, დედამიწა სამოთხედ, რომლისაც მზგავსი სამოთხე ძველმა კაცობრიობამ ოცნებითაც ვერ შესთხზა... ნუ თუ წარმოიდგენს ვინმე, რომ ყველა ეს სასწაულები, ყველა ეს საოცრებანი, რომელნიც მართლაცა და ღვთაებას გვისახავენ კაცის გონებაში, შესაძლებელი იყო, თუ არ იქნებოდა კაპიტალური წარმოება, კაპიტალიზმი?..

გადაავლეთ თვალი ისტორიას და ჩააცქერდით, რომელი ხალხნი იყვნენ ყველაზედ დაწინაურებულნი, და ჰნახავთ, რომ ის ხალხნი, რომელთაც გააძლიერეს თავისი კაპიტალი, კაპიტალური წარმოება. აიღეთ ფინიკია, კართაღენი, რომი, საბერძნეთი, ეგვიპტე, ჩინეთი, ინდოეთი. აიღეთ ეხლანდელი დრო, ვინ არიან პირველნი?—ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შტატები, გერმანია. რითი იპერს ეხლა იაპონია ძალას და ჩადგა ფეხი დაწინაურებულთა ხალხთა შორის? კაპიტალით, კაპიტალური წარმოებით...

III

ზემოთ მოყვანილი საბუთებიდამ უნდა დაინახოს მკითხველმა, რომ თუ ყველგან ყოფილა და არის, ჩვენშიაც უნდა ყოფილიყო და არის დღესაც კაპიტალიზმიც, კაპიტალური წარმოებაც. მხოლოდ, რასაკვირველია, ამაზედ იჭვს ვერავინ შეიტანს, როცა გადაავლებს თვალს ჩვენს კულტურას, ჩვენს დავარდნილს მდგომარეობას, რომ გვქონია და გვაქვს კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება დიდად და დიდად ნაკლები, სუსტი, უძლური, თითქმის ძლივს საჩინო.

უნდა დაინახოს ისა, რაოდენად სავნოა ან სასარგებლო ჩვენთვისაც კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება.

საჭიროა და სასარგებლო თუ არა ჩვენთვის წარმატება და გავრცელება კაპიტალიზმისა, კაპიტალური წარმოებისა?

დღევანდელს იურიდიულს წესში ის ხალხი, სადაც არ არის, გაძლიერებული კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება, წააგავს უიარაღო მეომარს, რომელსაც თავს დაჰსხმია თავით ფეხამდის შეიარაღებული მებრძოლი.

გაძლიერება კაპიტალისა, კაპიტალიზმისა, კაპიტალური წარმოებისა არის ბრძოლა ხალხთაგან თავის და-

...ელის-ძველი სამხედრო ხომალდები ...ეთ და უნდა ხელ-ახლად შეჰქმნან ...ოველგვარი წარმოება, რომელსაც ...ხომალდების აშენებასთანა აქვს ...შირი. ვაშინგტონში მიჰხვდნენ, ...მ ისეთს სახელმწიფოს, როგორ...ც შეერთებული შტატებია, ძლი...ი ფლოტი უნდა ჰყავდეს, მაგრამ ...დგანაც უკანასკნელ დროს საზ...ვაო ტეხნიკისა და წესისათვის ...ლი არ უდევნებია, გარდასწყვი...ა უპირველეს ყოვლისა გაიცნოს ..., თუ რამდენად წინ წავიდნენ ამ ...რივ ევროპის სახელმწიფოები. ეს ...განი კარგადაც შეასრულა სხვა-და...ვა გონივრულ საშუალებათა მიღე...ით, შეერთებულმა შტატებმა ცოტ...ოტაობით გაიჩინა ფლოტი, ...ომელიც თავისის თვისებით არამც ...უ მცირედით ჩამოუვარდება სხვა ...ლოტებს, პირიქით იგი თვით ამე...იკაში არის გაკეთებული ადგილო...ივი მასალით.

მაინც ეს ამერიკის ახალი ფლო...ი ბრიტანიის ძლიერს ფლოტს ვერ ...ედრება. ზოგიერთი სამხედრო ...მები ასეთსავე გემებს ინგლისისას ...ვრით არაფრით ჩამოუვარდება, ...გრამ რიცხვითი უმეტესობა ბრი...ანიის ფლოტისა ბრძოლის დროს ...ს სრულიად უშიშრად-ჰყოფს. ამე...იკელებს ეს კარგად ესმისთ და ...იტომ ვერ ჰბედვენ ფორმალური ...ეტაკება აუტეხონ ზღვაზე; ამიტომ ...ინი სამხრეთელთა მაგალითით ...ხელმძღვანელებენ ომში და ეცდე...იან გაბედულისა და შორეულის ...ოგზაურობით ინგლისის ვაჭრობას ...აგრძნობელი დაღი დაასვას უმთა...რესს სავაჭრო პუნქტებში. თავისს ...რავალ-რიცხოვანს სავაჭრო ხომალდებს, ეჭვი არ არის, ინგლისი კრეისერებით დაიცავს, რომელსაც შემდეგ აქა-იქ კერძო შეტაკებაც მოჰყვება, ხოლო გამარჯვება დარჩება მას, ვისაც ხომალდთა რიცხვით უპირატესობა ექმნება. ყოველს შემთხვევაში, ინგლისის სავაჭრო ხომალდთა უმეტესი ნაწილი ატლანტის ოკეანეზე ველარ გაჰბედავს ცურვას, ხოლო რომელნიც იკისრებენ უშიშრად მგზავრობას, იძულებულნი იქმნებიან თავისი ბაირაღი სხვა სახელმწიფოს ბაირაღზე შესცვალონ, იმ ხომალდთა· რომლებიც შესანიშნავის სისწრაფით დასცურავენ და მუდამ შეუძლიანთ მტერთა დევნას თავი დააღწიონ. საქმე როგორც უნდა იყოს, მაინც ეს გარემოება დიდს არეულობას გამოიწვევს.

მაგრამ ინგლისიც, ეჭვი არ არის, არ იმარებს მარტო მტრის მოგერებას და ეცდება თითონაც მიიტანოს ხოლმე იერიში და რადგანაც ადრევე მიიღო ყველა საჭირო საშუალებანი გასაფრთხილებლად, იგი ომის გამოცხადების დღესვე მოსძებნის მტრის ტერრიტორიის მახლობლად საოპერაციო ადგილებს. გალიფაქსს ახალს შოტლანდიაში და ესკიმალტს—წყნარს ოკეანეზე—საუცხოვო არსენალები აქვთ, რომლებიც სავსეა ყოველგვარ საომარ იარაღით, ხოლო ბერმუდი და ზოგიერთნი ანატოლიის კუნძულთაგან ყოვლად სასარგებლო სათავდარიგო მაღაზიებს წარმოადგენენ. გარდ ამისა სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ინგლისელები შეჰკრებენ ძლიერს ესკადრას, მტერზე იერიშს მიიტანენ და ეცდებიან შეერთებულს შტატებს სრულიად მოუსპონ მისვლა-მოსვლა დანარჩენ სახელმწიფოებთან. ზამთარში, რასაკვირველია, მეტად გაუჭირდებათ ამ განზრახვის შესრულება; ეჭვი არ არის, ვერც იმას გაჰბედავენ, რომ თავისი ჯარები მტრის ადგილებში გადიყვანონ, ან დიდის მდინარეების შესართავებს ზარბაზნებას სროლა დაუწყონ, რადგანაც შეიძლება გამჭრიახმა მტერმა სულ სხვა ხრიკი გამოუძებნოს და დიდადაც აზარალოს. მაგრამ ამერიკელებმა კარგად იციან, რომ მათ თავისს მამულში ბუზსაც ვერავინ აუფრენს და ინგლისელებს-კი კანადაში საქმე გაუჭირდებათ. რაც უნდა დიდი ძალი ჰყავდეთ ინგლისელებს იქ, იგი მაინც შედარებით შეერთებულ შტატების ძალთან, რომელიც მას შეუძლიან გაჰგზავნოს, როგორც ზღვაში ცვარი იქმნება. როგორც სჩანს, მაშ მათი ძალი თანაბარი სრულიადაც არ არის და ინგლისის ზღვაზე უპირატესობა კანადას ვერ იხსნისო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ხშირად მოხდება ხოლმე, რომ არამც თუ სნეული ვინმე, საღი და ჯანმრთელი ადამიანიც, მთლად თავისუფალი სნეულებისაგან სულიერად თუ ხორციელად, ჰხედავს ხოლმე რომელსამე საგანს და ბევრჯერ ცოცხალ სულიერსაც, რომელიც ნამდვილად-კი იქ არ არის, ესმის ძახილი, თუმცა არავინ ეძახისა ხელშეხებასა ჰგრძნობს, თუმცა ხელს არავინ ახლებს და მებრვე სხვა. ამას, ამისთან, ამბავს ევროპიელნი გალლუცინაციას ეძახიან, ჩვენებურად, მგონი, მოლანდება უნდა ერქვას. ლონდონში ერთნაირი მეცნიერთა საზოგადოებაა, რომელსაც საგნად აუღია გამოიკვლიოს და აღსახსნელი საბუთი რამ უპოვოს ამისთანა ამბებსა. ამ საზოგადოებას გამოუქვეყნებია ახლახან თავისი გამოკვლევა. ამ გამოკვლევისაგან სჩანს, რომ უფროს ბევრი წილი ამისთანა ამბებისა თვალთა ლანდისაგან წარმოსდგებაო. უფროს-ერთი ამისთანა ამბავი ასე მოხდება ხოლმე: ჰზის კაცი სუფრაზე, ან მუშაობს რასმე მარტოკა ოთახში. უეცრად თვალს მოჰკრავს კარებს და ჰხედავს დიდის ხნის გარდაცვალებულს ან ნაცნობს, ან ნათესავს, მაგალითებრ, მამას, რომელიც შემოდის ოთახში, თვალს უშტერებს მაყურებელს, მიდის იმასთან და რამდენსამე წამს შემდეგ წავა და გაქრება. ამისთანა ლანდი ეჩვენება ხორცსხმულად ხოლმე ასე, რომ საგნებსაც-კი აეფარება, ფეხის ხმასაც გააგონებს. ზოგჯერ უცნობებიც მოელანდებიან ხოლმე. აი ამისი ორი მაგალითი: ერთი მანდილოსანი მჯდარა თავისის სახლის დირეზედ და თავისს შვილებს, რომელიც მწვანეზედ ჰთამაშობდნენ, თვალს ადევნებდა. უეცრად მოიხედა ღია კარებისაკენ და ოთახში დაინახა ვიღაც უცნობი დედაკაცი და ყველაზე საკვირველი ის არის, რომ იგი დედაკაცი სარკეშიაც სჩანდა, რომელიც მის ზურგთ უკან ეკიდა. ყველაფერი ეს მარტო ერთი ლანდი იყო და სხვა არაფერი. ერთი ახალგაზდა გასათხოვარი ქალი ეგზამენისათვის ემზადებოდა, დაგვიანებული ღამე იყო. თვალი მოაშორა წიგნსა თუ არა და მიმოიხედა, დაინახა ვიღაც ვაჟ-ბატონი ჯარის-კაცის საზაფხულო ტანისამოსით მის წინაშე სდგას და დაჟინებით უყურებს. ქალმა იგრძნო, რომ რაღაც მოელანდა, თვალები დახუჭა. ლანდი მაშინვე გაჰქრა, ხოლო როცა კვლავ აახილა თვალი, იგივ უცნობი თვალ-წინ ედგა. რამდენისამე წამის შემდეგ უცნობი ოთახში აღარ იყო.

ესენი კიდევ არაფერია იმასთან, რასაც სმის შემდეგ მოგახსენებთ იმავე წიგნიდამ, აიდამაც ეს ამბები ჩვენ ამოვკრიბეთ· დიდმანძილზედ თურმე სული სულს აგრძნობინებს, ატყობინებს ადამიანის ვითარებას. მაგალითებრ, ვთქვათ თქვენ სცხოვრებთ ტფილისში და თქვენი ნაცნობი, მახლობელი, ან მეგობარი პეტერბურგში. იგი უეცრად კვდება და სიკვდილის ჟამს თქვენ მოაგონდით და თქვენზე ჰფიქრობს. მისი ფიქრი თქვენ გადმოგეცემათ პეტერბურგიდამ ტფილისს და მოქმედობს თქვენს ტვინზე ისე, რომ თქვენ უცბად ჰხედავთ თქვენს მეგობარს ქვეშაგებში, სულის დალევაზე მიმდგარს. შემდეგ მოგდით ამბავი, რომ თქვენი ნაცნობი თუ მეგობარი სწორედ იმ დროს გადაიცვალა და მოწყობილობაც მომაკვდავის გარემოთ სწორედ ისეთი იყო, როგორც მოგელანდათ. დაუჯერებელი ამბავია, თუმცა მეცნიერნი ამბობენ, რომ თეორიულად ამისი ახსნა შეს ძლებელიაო, თუ სახეში მივიღებთ, რომ არის რაღაც „პსიხიური ძალი", რომელიც მანძილიდამ მანძილზე მოძრაობს ეფირსავითაო. რაკი „თუ"-ზე მიდგა საქმე, ვერაფერი ნუგეშია. მაინც და მაინც მეცნიერთა წყურვილი გამოცნობისა არ ჩერდება და ამისთანა ამბების გამოძიებისათვის არა ერთი და ორი მეცნიერი იღვწის ამ ბოლოს ხანებშიო.

ასეა თუ ისე, ხსენებული საზოგადოება ერთს საოცარს მაგალითს კიდევ მოგვითხრობს ეგრედ წოდებულ „წინად-გრძნობის გალლუცინაციისას". ერთს კაცს ამ საზოგადოებისათვის მოუწერია: „ეს შემთხვევა მილანში მოხდა 10 ოქტომბერს 1888 წელსაო. ვიდექი სასტუმროში, რომელსაც „იაკორი" ჰქვიანო. სადილთ უკან, შვიდი საათი სადამოსი იქნებოდა, ჩემთვის ვიჯექ და გაზეთს ვკითხულობდიო. უეცრად ჩემს პირდაპირ კარებში დავინახე მამაჩემი. ზედ ეცვა იგივე შავი სერთუკი, როგორც ყოველთვის, ძალიან გაფითრებული იყო, თითქო სიკვდილზეა მიხწეული. იმავე წამს ჩემს ყურს მოესმა ხმა: „დეპეშას მიიღებ, რომ მამაშენი გადაიცვალაო". იმავ საღამოს თერთმეტსაათზე, როცა სხვებთან ერთად ჩაისა ვსვამდი, კარი დამირახუნეს და შემომიტანეს დეპეშა. ფერი მეცვალა და შევძახე: „ვიცი მამაჩემი გადაცვლილა". დეპეშაში ეწერა: „მამა უეცრად გადაიცვალა". დეპეშა ჩემის დისა იყო, რომელიც პეტერბურგში სცხოვრებდა იმ ჟამადა. ბოლოს შევიტყე, რომ იმ დილით მამაჩემს დამბაჩით თავი მოეკლა".

ოც-და-ათი მეტი სხვა ამისთანა მაგალითებიეა მოყვანილი ხსენებულ საზოგადოების წიგნში და ავტორები ძალიან ბეჯითად და დაწვრილებით იძიებენ, შესაძლოა ყოველივე ეს შემთხვევას მიეწეროს, თუ აქ რაიმე საიდუმლოება ბუნებისა, რომელიც ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. მეცნიერებს ხსენებულ საზოგადოებისას უფრო ეს უკანასკნელი აზრი სჯერათო. (გ. ი. ლ.).

---

...ცვისა, თავისი ქონების შენახვისა, თავისი საცხოვრებლის წარმატებისათვის. არის ძალა, რომელიც გარედამ შემოიტანს შინ საცხოვრებელს, საზრდოს, გადმოჰნერგავს თავის ქვეყანაში უცხო ქვეყნებიდამ კულტურას, გონების ნაყოფიერებას.

რომ ჩააცქერდეს კაცი დღევანდელს ცხოვრებას თუნდა ძველებურსაც, ცხადად დაინახავს, რომ რაოდენადაც ხალხს მეტი აქვს კაპიტალი, რაოდენადაც ამ ხალხში ვრცელია კაპიტალური წარმოება, იმოდენად ეს ხალხი ძლიერია სხვებზედ ყოველისფრით: შეძლებით, გონების ძალით, კანონებით, სახელმწიფო და საზოგადო წყობილებით. ამაზედ მე კარგა ვრცლადა მქონდა ლაპარაკი ჩემს წერილებში „კაცობრიობა და ეროვნება". რომელნიც ამ წლის დამდეგს „ივერიაში" იყვნენ დაბეჭდილნი.

ჩვენში გაისმის ხმა: კაპიტალიზმი, კაპიტალური წარმოება არ უნდა შემოუშვათ, არ უნდა ვაბოგინოთ ჩვენში, რადგან ესენი სავნებელნი არიანო.

ნუ-თუ, მართლა ძალიან სავნონიც რომ იყვნენ და არც იყვნენ ჩვენში ესენი, ჩვენ ავცდებით და ავირიდებთ ამათ თავიდამ?

ვერა!

რატომ?

და აი რატომ.

რომელი ქვეყანაა, რომ შეეკრას გზა და არ შეეშვას ესენი საწარმოებლად? თვით იმგვარი თავისუფალი ქვეყნები, სადაც სახელმწიფო ძალაც იყო, ვერ ასცდნენ ამათ.

ჩვენ უფრო, სხვის ხელთ მყოფს, რა სახსარი გვაქვს შეუკრათ გზა, საზღვრები, აუშენოთ კედლები უცხო ქვეყნების კაპიტალს, კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას? ვინ შეუკრა გზა ნობელს, კოკორევს, სიმენსს და სხვათა ათასთა უცხო თემისა და ტომის კაპიტალის პატრონთა და კაპიტალურს წარმოებას?

მთელი ქვეყნის სიმდიდრე სდევს ჩვენს მთებში, ჩვენს ქვეყანაში. თუ ჩვენ თვითონ არ მოუვლით, არ ვუპატრონებთ, არ მოვიხმარებთ ჩვენცა და არ მოვახმარებთ სხვათაც, ვინ მოგვცემს ნებას, რომ თუ მას ჩვენს თავს არ მოვახმარებთ, ჩვენს თავს დაუკარგავთ,—დაუკარგოთ სხვათაც, დაუკარგოთ ქვეყანას? ვინ შეუკრავს ხელს, აუკრავს კრიჭას, როდესაც რუსი, ინგლისი, ფრანგი, ბრუსი, ნემსა შემოვლენ თავისი კაპიტალით, კაპიტალური წარმოებით ამ სიმდიდრის აღმოსაცენებლად, მის მოსახმარად, მისი ექსპლოატაციისათვის ქვეყნის სასარგებლოდ, თავისს გასამდიდრებლად?!.

მაშასადამე, ცხადია, შინაც რომ ავიცდინოთ, თუ იგინი ჩვენში არ არიან, კაპიტალიზმი და კაპიტალური წარმოება,—გარედამ გვასხედან ესენი თავსა და გაიტანენ ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს განძს ჩვენის ქვეყნიდამ, ჩვენის შრომით ისარგებლებენ გარეულნი შინაურთა მაგიერად და რისაც მოხმარება ჩვენ არ ვინდომეთ, რითიც ჩვენ არ ვისარგებლეთ, ისარგებლებენ ჩვენზედ გონიერები, გამოცდილები, მცოდნენი, და ჩვენ დავრჩებით უბრალო მუშაკნი იმათს ხელში.

ამგვარად ჩვენთვის ორ რიგად არის საჭირო კაპიტალიზმისა და კაპიტალური წარმოების გავრცელება და წარმატება. პირველი მიტომ, რომ ჩვენს ქონებას ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვისარგებლოთ ამით; მეორე, მიტომ რომ უცხო ტომთ, უცხო კაპიტალმა და კაპიტალისტთ არ ჩაგვიგდონ ხელში და ჩვენს ქონებაზედ ისინი არ გახდნენ პირველნი.

დღეს კაპიტალს, კაპიტალიზმს, კაპიტალურს წარმოებას ადებენ ბრალად, რომ ის ჰბადებს პროლეტარიატს, უმამულობას, ბოლანობას.

საკითხავია: მარტო დღეს არის პროლეტარიატი, უმამულობა, ბოლანობა, თუ ძველად უარესობა იყო? მონობის დროს რა მდგომარეობაში იყვნენ მონანი? იყვნენ ტყვენი, ძალად მოგლეჯილნი სამშობლო მიწა-წყალს, მშობლებს, ცოლშვილს, მოკეთეს, მამულს, საკუთრებას, სულიან ხორციან შეადგენდნენ თავისი მეუფის კუთვნილებას; იყვნენ დარნი უსულო მაშინათა, პირუტყვთა; საკუთრების შეძენასაც-კი მოკლებულნი იყვნენ. მოვიგონოთ მაინცა გლადიატორნი რომში. მოვიგონოთ ბრძოლა დიდებული სპარტაკისა გლადიატორთა განთავისუფლებლად. მეტი წილი ინდოეთის ხალხისა პარიანი, სუდრანი ვინ იყვნენ? სრულიად დევნილნი ყოველი საკუთრებიდამ, ყოველი საცხოვრებლიდამ, შეადგენდნენ სრულს საკუთრებას, შესაჭმელს ლუკმას ბრამინთა. ვის არ ახსოვს ისტორიაში, რომ თითქმის მთელი იტალია და გარეშე რომთა სამფლობელო ქვეყნები შეადგენდნენ რამდენისამე რომის პატრიციების საკუთრებას და ხალხი სრულიად მოკლებული იყო მამულების საკუთრებას; ეხსომებათ ისიც, რომ, რაც ამ ქვეყნებში გადარჩათ პატრიციებს, დაურიგეს ჯარის-კაცებს და მთელი ხალხი გაუშვეს უმამულოდ. აიღეთ სხვა ქვეყნები და ყველგან ერთსა და იმასვე ჰნახავთ. განა ეს მონობა, ბოგონობა, მამულებიდამ მთელი ხალხის დაცრა, ხალხების ტყვევნა, აყრა იყო ნაყოფი ფაბრიკებისა, მექარხნობისა, მრეწველობისა და სხვა ამგვარი? ფაბრიკები, ქარხანები და მრეწველობა იყვნენ მიზეზნი, როდესაც საქსებმა და ნორმანებმა დაიყვეს ინგლისი ანუ ბრიტანია და დაინაწილეს იქაური მკვიდრი ხალხის მამულები, და მთელი ეს ხალხი გაუშვეს უმამულოთ? განა ფაბრიკები, ქარხანები და მრეწველობა იყვნენ მიზეზნი, როდესაც ევროპელთ, არამც თუ განაძევეს მამულებიდამ და ამოწყვიტეს კიდეცა მილიონობით ამერიკის მკვიდრნი? რომელმა ფაბრიკამ და ქარხანამ განაძევა ჩერქეზნი, აფხაზნი, ყირიმელნი და სხვა ამგვარი ხალხი თავისი ქვეყნიდამ? ავიღოთ ახლა ჩვენი საქართველო. ვინ იყო მამულების მეპატრონე? ჰქონდა განა გლეხს საკუთრება? მესაკუთრე მამულებისა და თვით გლეხისა იყო სულს იქით, როგორც ამბობს თვით ვახტანგ კანონ-მდებელი თავისს კანონებში, მებატონე. მთელი ქვეყანა ეკუთვნოდათ და მთელი მამული შეადგენდა მეფისა, მონასტრებისა, სამღვდელოთა და თავად-აზნაურთა საკუთრებას. დანაშთენი ხალხი, როგორც ზემოთაც ითქვა, იყო უმამულო, მონა, ტყვე მამულის პატრონისა. და სვვა და სხვა და სხვა.

გარჩევა ძველსა და ახალში იყო მხოლოდ ისა, რომ ძველად შენ იყავი მონა და სრული საკუთრება სხვისა, საქონელი, პირუტყვი, უსულო მაშინა იმისი და როგორც უნდოდა უსასყიდლოდ გიმსახურებდა. დღეს თავისუფალი ხარ, შენს შრომაში გაძლევენ სასყიდელს, იქნება მცირეს, იქნება მეტის·მეტათ ნაკლებს, მაგრამ მოძალავე, ძალითი საქმეში კისრის ჩამკვრელი, უღელში შემბმელი, ძალათ შენი ჯანისა და ღონის შემჭმელი აღარ არის. დღეს მით მაინც ჰსუნთქავს კაცი თავისუფლად, რომ ჯვარს ვერავინ გაცვამს, როზგს ვერ-ვინ დაგკრავს, პირველსავე შენი ჯვარის წერის ღამეს შენს სატრფო ცოლს, რომელიც მთელს ცასა და ქვეყანას გირჩევნიან სხვა ვერავინ წაიყვანს, არ შეგიბილწამს და არ დაგიბრუნებს შებილწულს, შერცხვენილს, თხის ფასად ვერავინ გაგყიდის, ცოლშვილიანათ ძაღლებზედ ვერავინ გადაგცვლის, ცოლს ცალკე და შენ ცალკე არ დაგლუპავენ უცხო უცნობს ადგილას, და ამითი ვერ დმაშორებს საუკუნოთ ცოლს, ვილს, დედას, სამშობლოს ქვეყანას. გუთანში ვერავინ შეგაბამს, ზურგს ვერავინ შეგჯდება, ყურებს ვერავინ დაგაჭრის, თვალებს ვერავინ დაგთხრის, ცხვირს ვერ მოგჭრის და შენი თვალის წინ არ შეაჭმევს დამშეულს ძაღლსა...

ანტ. ფურცელაძე.

(დასასრული იქნება).

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ბ. ბ. ნინო მგელაძისას კასაძის ასულს და გოწია თავართქილაძეს, რომლებმაც შემოსწირეს ოფშუნებულ ჩემდამო ქუქუთის სამრევლო სკოლას სხვა და სხვა საყმაწვილო და სახალხო წიგნები და სამოსწავლო ნივთები პირველმა თუმნად ღირებული და მეორემ—რვა მანეთად.

ქუქუთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
რაჟდენ კონტრიძე.

## თეატრის მატიანე.

ბ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისმა 20 დეკემბერს, გარეგანი შეხედულებით ძალიან კარგად ჩაიარა: თეატრი სავსე იყო, მობენეფისემ საჩუქრები ბევრი მიიღო და ყოველ ანტრაქტში მრავალჯერ იყო გამოწვეული და ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დაჯილდოვებული. ქ. ავალიშვილისაც თაიგული მიართვეს. თავისს საბენეფისოდ ბ. მესხიშვილმა დასდგა გუცკოვის დრამა „ურიელ აკოსტა“. ეს პიესა ამ სეზონში მეორედ იყო წარმოდგენილი. მობენეფისე თამაშობდა ურიელის როლს, თამაშობდა კარგად, ლექსს გონივრულად კითხულობდა, მაგრამ ავადმყოფობა ხელს უშლიდა, ხმა სულ არ ჰქონდა. აკოსტა გმირია, იგი თავისის აზრების გამარჯვებისათვის ერთი, ყველასაგან მიტოვებული, წინ უდგება ფანატიზმით მის წინაამდეგ გატაცებულს ხალხს და აბა ავადმყოფი არტისტისათვის ამ გვარი გმირის როლის თამაშობა ხომ ძალიან ძნელი და გასაჭირია. საზოგადოებას უყვარს ბ. მესხიშვილი, ყოველთვის პატივსა სცემს და რასაკვირველია, გუშინ წინაც თანაგრძნობას არ მოაკლებდა და თეატრს აავსებდა, თითონაც რომ არ ეთამაშნა და ბენეფისი დაენიშნა როგორც რეჟისორს. მაშინ არა მოუნდებოდა ძალ-დატანება თავის თავზედ და წვალება, არც საზოგადოება დაიტანჯებოდა საყვარელი არტისტის მდგომარეობის მაყურებელი. საჭიროა ბ. მესხიშვილმა დროებით შეისვენოს, მოირჩინოს თავი და კვლავ დაგვატკბოს თავისი მშვენიერი თამაშობით.

დანარჩენ არტისტებმა, არაფრით დაიმსახურეს, რომ მათ თამაშობაზედ კარგი რამ ითქვას. დრამის შემდეგ წარმოდგენილი იყო ბ. ვ. გუნიას ვოდევილი „ადვოკატთან“; ვოდევილის დროს საზოგადოება ძალიან იცინოდა, თუმცა არტისტებმა გადააჭარბეს.

ს—ი.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი გურგენიძენი. თავად გურგენიძეთა გვარეულობა მოთავსებულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც 1783 წელს მეფე ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

6 დეკემბერს, 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი გურგენიძენი: 1) კოლლეჟ. რეგისტრატორი სოლომონი და პრაპორშჩიკი დიმიტრი იროდიონის ძენი; 2) მე 14 კლასსის მოხელე გიორგი იროდიონის ძე, ცოლი ამისი მაკრინე, ასულნი მათნი სალომე და სოფიო; 3) ელისაბედ იროდიონის ასული; 4) ქვრივი სვიმონისა—ბარბარე, ქალნი ამათნი: ქეთევანი და ელისაბედი და 5) კონსტანტინე ბეჟანის ძე და ცოლი ამისი ელისაბედი.

## შემოწირულება.

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: რ. ერისთავის ფონდის დასაარსებლად ბათუმის საზოგადოებაში შეგროვილ იქმნა სულ 318 მ. 50 კ. ამ ფულიდგან სამს დეპუტატს მიეცა, რ. ერისთავის საიუბილეო დღეობაზე დასასწრებლად, 90 მან., ადრესის დაბეჭდვა და იუბილარისთვის მირთმეული ალბომი დაჯდა 11 მან. 50 კ. დარჩა 216 მ. 50 კ., რომელიც გასაგზავნის ხარჯის მანეთ-ნახევრის გამოკლებით (215 მ.) გაეგზავნა წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას.

აი სია იმ პირთა, რომელთაც გამოიღეს ფული ხსენებულის თანხის შესადგენად: *)

გრიგოლ ვოლსკიმ—10 მან., ექვთიმე ბერძენიშვილმა 7 მ.

ხუთ-ხუთი მანეთი: პეტრე უმიკაშვილმა, მ. ბეთანოვმა, გრიგოლ ელიავამ, ექვთიმე ჩხატარაიშვილმა, კონდ. მხეიძემ, ყარამან ბერძენიშვილმა, პავლე მჭედლიშვილმა, ლევან მჭედლიშვილმა კ. თავართქილაძე და ა. მიქელაიშვილმა, ვასილი ახვლედიანმა, ნესტორ პეტრიაშვილმა, თეოფანე ჯაყელმა, დიმიტრი უგულავამ, ივლიანე ლომინაძემ და ეგნატე გედევანოვმა.

სამ-სამი მანეთი: კარლო ჩხეიძემ, მღვდ. თოთიბაძემ, ანტონ მუჯირმა, ვასილი კაკაბაძემ, ფ. ფილიპოვმა, როსტომ კვახაძემ, კოსტანტინე ვაჩეიშვილმა, ივანე ჩარექოვმა, მოსე ს. ბარკალაიამ, სარდიონ ქუთათელაძემ, ემელიან მეგრელიძემ, მათე ნიკოლაძემ, [illegible], თეოფანე ახვაფარიძემ და ალექსი გოგიშვილმა.

ორ-ორი მანეთი: პავლე ჭყონიამ, ხუსეინ ალა ოღობაშ-ზადე, მერაბ წულაძემ, იასონ საბახტარიშვილმა, ყარამან მგელაძემ, კ. დგებუაძემ, გიორგი იოსელიანმა, ივანე კახიანმა, მღვდელმა ჩხიკვაძემ, გიორგი ელიავამ, კირილე მაქსიმენის ძე ჯორბენაძემ, ტერ. წერეთელმა, მ. შარაშიძე, გ. მენაბდე, დურსუნ ბეგ სანჯაგ ბეგ-ზაადე-აბაშიძემ, ზია ბეგ სანჯაგ ბეგ-ზაადე-აბაშიძემ, ფარსადან სანოძე, სტეფანე ბერიძე, გიორგი ჯავახიამ და ივანე ჯაველიძემ.

თითო მანეთი: პეტრე მღებროვმა, სარდ. ალ. კაკაბაძემ, ბესარიონ გოგიტიძემ, მარჯანოვმა, ვიქტორ დიდიამ, იულო დუმბაძემ, გერასიმე ჯორჯიკაიშვილმა, არსენ მუმლაძემ, კირილე კოპლატაძემ და მიხეილ ნანეიშვილმა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა ბრძანება, რომ 1896 წლის 1 იანვრიდამ ნიკოლოზის საზღვაო აკადემიასთან დროებითი კურსი იქმნას დაარსებული საზღვაო-სამხედრო მეცნიერებათა შესასწავლად. კურსის მოსმენის ნება აქვთ ფლოტის შტაბ-ოფიცრებს და ლეიტენანტებს, რომელნიც ექვსი წელიწადი ამ ხარისხს ატარებენ, უპირატესობა-კი ეძლევათ უფრო იმათ, ვისაც საზღვაო აკადემიასა, ან სპეციალურს სკოლაში მიუღიათ სწავლა.

**მოსკოვი.** გუშინ, სამეურნეო საზოგადოების 75 წლის იუბილეს გამო, „კეთილშობილთა საკრებულოს“ დარბაზში სხდომა მოხდა თავადის შჩერბატოვის თავმჯდომარეობით. საზოგადოებას მიუვიდა ადრესები: მოსკოვის უნივერსიტეტისა, თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოებისა, პირველ ფიზიკურ ობსერვატორიისა და სხვათაგან.

**ლონდონი.** გაზეთს „ტაიმსს“ ატყობინებენ კაპშტადტიდამ, რომ „18 დეკემბერს დოქტორი ჯემსონი, მიუღია-რა მას შაბათს იოჰანესბურგის საპატიო მცხოვრებთაგან წერილი, რომლითაც სთხოვდნენ მას წასულიყო მისაშველებლად, რადგანაც იქ არეულობაა, გუშინ 700 კაცით ტრანსვალის საზღვარზე გადვიდა მაოეკინგის მახლობლად და დღეს დილით მალმანაში მივიდაო.“ ამის გამო გუშინ ჩემბერლენი ლონდონში ჩამოვიდა და მთელი დღე სააჴელმწიფო გამგეობაში დაჰყო. ჩემბერლენმა ჯემსონს დეპეშა გაუგზავნა, რომ იგი უკან დაბრუნებულიყო. დეპეშავე გაუგზავნა ჩემბერლენმა ტრანსვალის რესპუბლიკის პრეზიდენტს კრიუგერს და სთხოვდა მშვიდობიანად როგორმე გაეთავებინათ საქმე. ამასთან ბრიტანიის მთავრობის დახმარებაც-კი ურჩია, რომ საქმე მშვიდობიანად დაბოლოვებულიყო. იმ ცნობის შესახებ, ვითომ პრეზიდენტს კრიუგერს გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებისათვის მიემართოს თხოვნით მხარის დასაჭერად, «ტაიმს»-ი ამბობს: „ჩვენ არ მივცემთ ნებას, რომ ტრანსვალის საქმეში ვინმე გარეშე ჩაერიოსო“.

**ბერლინი.** გაზეთები ჯემსონის თავს დასხმას სამძიმო საქმეთა და მშვიდობიანობის დარღვევადა სთვლიან; მას არ ეპატიება და გერმანიამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოსო. „ნაციონალური გაზეთი“ ამბობს, რომ გერმანიისათვის სასარგებლოა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა არ შეირყესო და იმედი აქვს იმპერიის მთავრობა ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს, რომ კრიუგერს დახმარება აღმოუჩინოს.

**ლონდონი.** როგორც ხმა ისმის, გერმანიას წინადადება წარუდგენია საფრანგეთისა, პორტუგალიისა და ჰოლანდიისათვის ერთად იმოქმედონ ტრანსვალის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის, საქმეში ჩაერივნენ და კრიუგერს დახმარება აღმოჩინონო.

### „ივერიის“ ფოსტა.

**ქუთაისს ბ. თ. ხ—ს:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

*) ვბეჭდავთ დღეს მხოლოდ ნახევარს.
რედ.


## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს, რომ შაბათს, 23 დეკემბერს, დღის თორმეტ საათზე მოხდება საჯაროდ ვაჭრობა ნაცვლად იმ ვაჭრობისა, რომელიც ამ წლის 22 ნოემბერს იყო დანიშნული, რათა იჯარით იქმნას გაცემული 200 კუბიკურ საჟენი სიპი ქვისა და 250 კუბიკურ საჟენის წვრილი ღორღის დადგმა ქალაქის ქუჩების შესაკეთებლად. იჯარით გაცემის პირობები მსურველთ შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ნახონ ხოლმე ყოველ დღე დილის 10-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (2—6—1)

открыта подписка на 1896 годъ на

# „ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ“

съ безплатнымъ приложеніемъ

„Сборника рѣшеній Уголовн. и Граждан. Кассац. Департаментовъ и общ. Собр. Правит. Сената“ и „Собранія узаконеній и распоряженій Правительства“.

Выходитъ два раза въ недѣлю: по четвергамъ и воскресеньямъ безъ предварительной цензуры. Годовая подписная цѣна съ дост. и перес. семь руб. Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 руб. и къ 1-му апреля—3 рубля.

СПБ., НЕВСКІЙ ПР., Д. № 59. квор.

Программа: Послѣднія извѣстія.—Пtпредавыя статьи.—Законодательная хроника въ Россіи. Обзоръ пос ановленій отечественнаго и иностраннаго законодательствъ. Статьи и замѣтки по вопросамъ, возникающимъ въ судебной и административной практикѣ. Вѣсти и слухи. Корреспонденціи изъ Россіи и заграницы. Выдающіеся процессы и рѣчи. Фельетонъ. Движеніе по государственной службѣ (приказы министерствъ). Дѣйствія правительства (собранія узак. и распор. прав.). Рѣшенія Привительст. сената и циркуляры подлежащихъ министерствъ. Списки дѣлъ, назначенныхъ къ слушанію въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената. Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признаныхъ несостоятельными, возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ уничтоженныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія). Обзоръ юридическихъ журналовъ. Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія). Объявленія.

Вмѣстѣ съ этимъ, подписчики, внесшіе полную годовую плату за газету, могутъ обращаться въ контору редакціи „Юридической Газеты“ за справками по дѣламъ какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за разрѣшеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имущественныхъ или личныхъ интересовъ. Порученія эти контора редакціи принимаетъ насебя присоблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе справокъ о резолюціяхъ Кассаціонныхъ Департаментовъ и Общаго Собранія Правительств. Сената производится въ „Юридической Газетѣ“ въ отдѣлѣ „Почтоваго ящика“ и притомъ не болѣе 3-хъ разъ въ теченіе года. Лица или учрежденія, желающія получать по дѣламъ **Кассаціонныхъ** Департаментовъ Сената справки по **Почтѣ**, прилагаютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣльному дѣлу, а желающія получить ее по **телеграфу**, прилагаютъ кромѣ того и стоимость отвѣтной телеграммы. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго предметъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производится на условіяхъ особаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 2. Всѣ справки и порученія по всѣмъ вообще правительственнымъ, административнымъ и судебнымъ (центральнымъ и мѣстнымъ), общественнымъ, сословнымъ и частнымъ учрежденіямъ производятся не иначе, какъ на условіяхъ предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 3. Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся имущественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п. производится письмено но почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 4. Лица и учрежденія, обращающіяся къ намъ за справками, обязаны сообщитъ а) бандероль, за которую получаютъ „Юридическую Газету“; б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какаго присуственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ присутственнымъ мѣстомъ или должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба отправлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§) 5. Контора редакціи „Юридической Газеты“ также принимает. на себя и указаніе повѣренныхъ для веденія дѣлъ.

# L'URBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება აჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.
(40—26)


Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Декабря 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.